

**მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და
შეფასების ინდიკატორები 2019-2022 წლებისთვის
ზოგადი ინფორმაცია**

მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარნეული.

მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია – 935,2 კმ² და ზღვის დონიდან საშუალოდ 420 მ. სიმაღლეზეა. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან, ქ. რუსთავიდან – 48 კმ-ით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებიდან – 30-30 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს.

ისტორია

მარნეულის მუნიციპალიტეტი დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა-მარნეულის, ჭანდარ-სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარვენა მხარეს. დასახლებული პუნქტი იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. მარნეული ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს.

კლიმატი

მარნეულის მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში მდებარეობს და, რელიეფის შესატყვისად, ჰავის ზონალურობა ახასიათებს. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა, ზაფხული ცხელია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა იანვარში 0 – +0.30-ია, ივლისში – +23.90, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 25-ია, აბსოლუტური მაქსიმალური კი +40. ნალექები – 490-500 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მაისშია, ხოლო მინიმალური – დეკემბერში.

იაღლეჯის მაღლობზე, აგრეთვე, ლოქის ქედსა და ბაბაკირის სერზე ჰავა რამდენადმე განსხვავებულია, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გადადის. დამახასიათებელია მზიანი ამინდების ხანგრძლივობა. მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატი იდეალურია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, იგი პროდუქციის 2-3 სეზონად მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

ტერიტორიული მოწყობა და მოსახლეობა

მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 82 დასახლებაა: 1 ქალაქი, და 81 სოფელი.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 106 454 ადამიანი, აქედან 22244 ადამიანი ცხოვრობს ქ. მარნეულში, ხოლო დანარჩენი სოფლის ტიპის დასახლებაში.

2014 წლის, მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 104 300 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალეთნიკურია, 2011 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება: აზერბაიჯანელები – 83.1 %, ქართველები – 8,03 %, სომხები – 7, 89 %, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნების მოქალაქეები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19.4% (20 211კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80. 6% (84 089 კაცი) - სოფელად.

ასაკობრივი ჭრილის მიხედვით 0-5 წლამდე მოსახლეობა შეადგენს 12009 კაცს, 6-17 წლამდე - 22 650 კაცს, 18-59 წლამდე - 84 916 კაცს, 60-64 წლამდე - 6030 კაცს, ხოლო 65 წელს ზევით 11 709 კაცს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19,3% (28 000 კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80,7% (108 803 კაცი) - სოფელად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური საქმიანობა

2004 წლიდან მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ზრდის ტენდენციები, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროს. ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა (50%-ზე მეტი), ვაჭრობა (25%), გადამამუშავებელი მრეწველობა (15%), სხვა დარგებზე (ძირითადად მშენებლობა, მომსახურება) მოდის ეკონომიკის ხვედრითი წილის 10%. მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 9 151 სამეწარმეო სუბიექტი. „საქსტატი“-ს მონაცემით, 2013-2015 წლებში მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა 2,020 საწარმოო სუბიექტი.

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების საერთო რაოდენობა შეადგენს 58 507 ჰა-ს, საიდანაც 31 600 ჰა სახნავია, 1 999 ჰა სათიბი, 1 942 მრავალწლიანი ნარგავი და 22 960 ჰა საძოვარი. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად დარგს, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 50%. საქართველოს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იქნა 28 882 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმო და მეურნეობა. მათგან 98,8% (28 818) წარმოადგენს ოჯახურ მეურნეობას. აღწერის შედეგების თანახმად, სასოფლო მეურნეობების 37,2% პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო 62,4% – ძირითადად რეალიზაციისათვის.

სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილია 96 საწარმო .

გაშენებული ახალი ხეხილის ბაღი – 8.47 ჰექტარზე კაკლის ბაღი;

2017-2018 წლებში პროექტ „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაცემულია 1 588 927 ლარი 43 ბენეფიციარზე

იაფიანი აგრო კრედიტის ფარგლებში 25 ბენეფიციარი (2017-2018 წლები) –8 115 903 ლარი

მიკრო და მცირე მეწარმეობის დაფინანსებული პროექტი – მიღებული გრანტით დაფინანსებული 16 კოოპერატივი; (139 – ადამიანი)

ფუნქციონირებს 37 ფერმერული მეურნეობა.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე და დასაგეგმი შემდგომი სამი წლისათვის.

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;

2017 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები და 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 26 223 756 ლარით. შემოსულები გეგმით გათვალისწინებული იყო 23 123 638 ლარი, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 22 207 258 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 96.04%.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23 301 066 ლარი, მათ შორის:

გადასახადების გეგმა შეადგენდა 9 889 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 188 715 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელი 92,92% –ს შეადგენს.

გრანტების სახით მიღებულია 9 722 795 ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი – 5 253 700 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000 ლარი. ხოლო ფაქტმა შეადგინა 246 238 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – 3 258 044 ლარი, ხოლო 961 051 ლარი შეადგენს ნათშს 2016 წლის #265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან.

სხვა შემოსავლების ფაქტმა შეადგინა 4 170 572 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 104,18 %-ია.

არაფინანსური აქტივების კლება გეგმით გათვალისწინებული იყო 448 800 ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 218 984 ლარი, რაც გეგმის 48,79%-ს შეადგენს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიძღვრება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 4255,7 ათასი ლარი;
- თავდაცვა – 162,1 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 7526,1 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 1159,2 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 3284,6 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 139,2 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია – 2183,2 ათასი ლარი;
- განათლება – 2653,3 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 1042,4

განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 2017 წელს გახარჯული სახსრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება – 12 023 327 ლარი;
- ✓ განათლება – 2 653 278 ლარი;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 2 125 020 ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 139 169 ლარი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა – 1 014 547 ლარი;

- ✓ მმართველობა – 4 013 303 ლარი;
- ✓ თავდაცვა – 162 054 ლარი.

➤ **2017 წლის განმავლობაში სოციალურ პროგრამებზე გახარჯულმა თანხამ შეადგინა 1 014 547 ლარი და განხორციელდა მარნეულის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარებები, კერძოდ:**

1. დახმარება მკურნალობით ან/და მედიკამენტებით;
2. მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა; ოპერაცია, რეაბილიტაცია, გამოკვლევა, მკურნალობა და მედიკამენტებით დახმარება;
3. გამოკვლევა, ოპერაცია, მკურნალობა და მედიკამენტებით დახმარება;
4. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;
5. ერთჯერადი ფულადი დახმარება;
6. ყოველთვიური ფულადი დახმარება;
7. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ერთჯერადი დახმარების მიზნით, მუნიციპალიტეტი, დაინტერესებული სუბიექტის მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს შესაბამისი საჭიროების მქონე ბენეფიციარს გადაეცეს ეტლი, პირადი სარგებლობისათვის;
8. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადი დახმარება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 11 945 447 ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

- ✓ გზებისა და ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოვლა-შენახვა - 6 494 385 ლარი;
- ✓ სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია და გაწმენდა – 53 985 ლარი;
- ✓ სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 2 024 911 ლარი;
- ✓ საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია – 11 747 ლარი;
- ✓ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია – 26 627 ლარი;
- ✓ გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 1 024 489 ლარი;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება – 1 147 482 ლარი;
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება – 470 000 ლარი;
- ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საკადასტრო და აზომვითი დოკუმენტაციის დამზადება – 59 076 ლარი;
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში – 483 272 ლარი;
- ✓ სკვერებისა და პარკების გაშენება-რეაბილიტაცია – 86 531 ლარი;
- ✓ სასაფლაოებისა და სარიტუალო სახლების მოწყობა – 62 942 ლარი;

2018 წელი - ბიუჯეტის მაჩვენებლები

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 28 498 447,42 ლარით.

2018 წლის 9 (ცხრა) თვის ფაქტიური შემოსავლები:

სულ შემოსულობები გეგმით გათალისწინებული იყო 21 838 196 ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 20 466 507.18 ლარი რაც გეგმის 93,7%-ია.

შემოსავლები დაგეგმილი იყო 20 923 196 ლარით, ხოლო ფაქტიურად შემოსულია 16 967 092,11 ლარი, რაც გეგმის 81,1%-ს შეადგენს.

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 466 221,58 ლარი, რაც წლიური გეგმის (7 597 535 ლარი) 85,1 %-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში გეგმით გათალისწინებულმა თანხებმა, ფაქტებით შეადგინა: გათანაბრებითი ტრანსფერი - 4 500 270 ლარი, რაც გეგმის 100,1%-ს შეადგენს. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 187 2000 ლარი (გეგმის 98,2%), კაპიტალური ტრანსფერი შემოსულია 900 22 ლარი, რაც გეგმის 25,97%-ია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 9107 748,53 ლარი, რაც წლიური გეგმის 95,0%-ია. ხოლო არაფინანსური აქტივებიდან გეგმით გათალისწინებული იყო 915 00, ხოლო მობილიზებულია 573 053,65 ლარი, რაც გეგმის 62,6%-ს შეადგენს.

განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 2018 წელს 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა:

- ინფრასტრუქტურის განვითარება – 5 710 856, 71 ლარი;
- განათლება – 1 576 274,61 ლარი;
- მმართველობა - 3 564 416,77 ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 1 779 553,92 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 109 325.02 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა – 799 147,38 ლარი;
- თავდაცვა – 147 877 ლარი.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2017-2022 წლებში

დასახელება	2017წლის ფაქტი	2018წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
შემოსავლები	21988.3	24962.0	23770.9	26526.2	30181.5	34745.4
გადასახადები	9188.7	8600.0	17129.8	20055.2	23701.5	28257.4
გრანტები	8629.0	9719.6	250.0	250.0	250.0	250.0
სხვა შემოსავლები	4170.6	6642.4	6391.1	6221.0	6230.0	6238.0
ხარჯები	13192.8	15364.7	17002.0	18440.6	17806.4	18106.4
შრომის ანაზღაურება	2511.4	3407.9	3765.1	3882.1	3882.1	3882.1
საქონელი და მომსახურება	3082.8	3087.8	2781.4	2838.8	2938.8	3238.8
პროცენტი	64.5	102.6	20.3	4.4	20.3	20.3
სუბსიდიები	5946.8	7194.1	8810.0	9268.0	9268.0	9268.0
გრანტები	45.0	45.0	45.0	45.0	45.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	1075.8	1139.3	1166.0	1226.0	1226.0	1226.0
სხვა ხარჯები	466.6	388.1	414.2	1176.2	426.2	426.2
საოპერაციო სალდო	8795.4	9597.3	6768.9	8085.6	12375.1	16639.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8719.2	12304.7	6600.0	7998.2	12206.2	16470.1
ზრდა	8938.2	13219.7	7000.0	8218.2	12356.2	16600.1

კლება	219.0	915.0	400.0	220.0	150.0	130.0
მთლიანი სალდო	76.3	-2707.4	168.9	87.4	168.9	168.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-198.5	-2891.4	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	368.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	368.8	0.0	0.0			
კლება	567.4	2891.4	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	567.4	2891.4	0.0			
ვალდებულებების ცვლილება	-274.8	-184.0	-168.9	-87.4	-168.9	-168.9
კლება	274.8	184.0	168.9	87.4	168.9	168.9
საშინაო	274.8	184.0	168.9	87.4	168.9	168.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, კეთილმოწყობა. არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

კოდი	დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10272,3	13,398.2	16,408.2	17,075.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	3941,4	7,323.0	11,225.0	9,405.0

03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5382,0	4,880.0	4,623.2	5,610.0
03 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2388.3	1,325.0	1,205.0	1,205.0
03 02 02	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	190.0	0.0	0.0	1,400.0
03 02 03	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	275.7	375.0	75.0	25.0
03 02 04	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	599.9	560.0	988.0	1,060.0
03 02 05	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები	128.0	120.0	120.0	120.0
03 02 06	"აიპ სუფთა მარნეული"-ს დაფინანსება	1800,0	1,800.0	1,800.0	1,800.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	368.9	635.2	0.0	1,500.0
03 03 01	სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები	308.9	585.2	0.0	1,500.0
03 03 02	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო რუქების მომზადების ხარჯი	60.0	50,0	0.0	0.0
03 04	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	580.0	560.0	560.0	560.0

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა კვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ , სოფელ სეითგოჯალოს მისასვლელი გზის, ქვემო სარალის შიდა გზების, სოფელ ახლოლალოს შიდა გზების, სოფელ ოფრეთში მისასვლელი გზის, სოფელ ალგეთის ღვინის ქარხნის შიდა გზების, სოფელ კაჩაგანის შიდა გზების,სოფ. დამია-გეურარხის შიდა გზების, სოფ.კიროვკაში მისასვლელი გზის, სოფ. ხოჯორნიში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფ.წერაქვში შიდა გზებზე აღმირებული

ბეტონის მოწყობა. სოფელ იმირში „გადაჭრილი გორის“ ტერიტორიაზე ცენტრალური ტრასიდან მისასვლელი გზის მოასფალტება. ასევე დაგეგმილია სოფელ შაუმიანში და ქ.მარნეულში ესმპ–ს დასახლებაში ხიდის რეაბილიტაცია და სხვა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 593,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფლების აღმამედლო–ულაშლო–კასუმლოს დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 213.9 ათ.ლარი
- სოფ.ამბაროვკის გზის მოასფალტება –80,0 ათ.ლარი
- სოფ. ილმაზლოს გზის მოასფალტება –80,0 ათ.ლარი
- სოფ. სეითგოჯალოში მისასვლელი გზის მოასფალტება –167,0 ათ.ლარი
- სოფ. ქვემო სარალის შიდა გზების მოასფალტება –12,5 ათ.ლარი
- სოფ. ახლოლალოს შიდა გზების მოასფალტება –12,5 ათ.ლარი
- სოფ.წერაქვში შიდა გზებზე არმირებული ბეტონის მოწყობა – 12,5 ათ.ლარი
- სოფ. კაჩაგანის შიდა გზების მოასფალტება –15,0 ათ.ლარი

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებულია შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთებული და აღდგენილია ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგებულია თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებთან მისასვლელი გზები. შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზები, სტანდარტების შესაბამისად;
- მოსახლეობის კმაყოფილების დონე;

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალმომარაგების, სარწყავი არხების, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ახალი ნაგავსაყრელის გამართული ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, სარწყავი არხების გამართული მუშაობა, კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი , გარე განათების გაფართოებული ქსელი, გამართული ნაგავსაყრელი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დღე-ღამეში წყლის მიწოდების ხანგრძლივობა და ხარისხი.
- საირიგაციო ქსელის სიგრძე;
- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების საკანალიზაციო ქსელის მდგომარეობა;
- განათებული ქუჩების და დასახლებული პუნქტების რაოდენობა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან თავისუფალი ქალაქი.

1.2.1 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოების სოფლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“-ს სუბსიდირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია მოსახლეობის ზედაპირული გრუნტის წყლის მოხვედრისაგან დაცული, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ სოფ.სიონის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ.ბურმაში ჭაბურღილის მოწყობა, სოფ.შაუმიანის სასმელი წყლის რეაბილიტაცია.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 865,5 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფ. სადახლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია II ეტაპი- 263,0 ათ.ლარი
- სოფ. აღმამედლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია II ეტაპი-170,3 ათ.ლარი
- სოფ. ულაშლოში შიდა ქსელისა და რეზერვუარის მოწყობა - 280,0 ათ.ლარი

ქვეპროგრამის შედეგი

ქვეპროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება და წყლის სისტემების ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- აბონენტების რაოდენობა, რომელიც ჩართულია წყალმომარაგების ახალ სისტემაში;
- აშენებული წყლის სამარაგო რეზერვუარების საერთო მოცულობა;

1.2.2 სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად 130,0 ათასი ლარი სოფ. მეორე ქესალოში მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

ქვეპროგრამის შედეგი

ქვეპროგრამის ფარგლებში მდინარის სანაპირო ზოლზე მოსახლეობა დაცული არის წყალმომარაგებისაგან და მეწყრული პროცესებისაგან

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული სანაპირო დამცავი ზოლის მთლიანი სიგრძე;
- სარწყავი არხებიდან გაწმენდისას გატანილი ნარჩენების მოცულობა;

1.2.3 საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი კორპუსების გარე საკანალიზაციო ქსელის მოვლა შენახვაში მოსახლეობის ხელშეწყობა.სოფ. მართეში დაგეგმილია ბიოგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

ქვეპროგრამის შედეგი

კომუნალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება ხორციელდება შეუფრხებლად, გაუმჯობესებულია საკანალიზაციო სისტემის მუშაობა ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- აშენებული გამწმენდი ნაგებობის რაოდენობა;
- მოსახლეობის მოთხოვნით განხორციელებული გარე საკანალიზაციო ქსელის გაწმენდითი სამუშაოების რაოდენობა;

1.2.4 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მიმდინარე რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის შედეგი

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში გარე განათების გამართული მუშაობა და დამატებულია გარე განათების ახალი ინფრასტრუქტურა

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- გარე განათების წერტების რაოდენობა, რომელთა მოვლა-ექსპლოატაცია ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- წლის განმავლობაში დამატებული ახალი გარე განათების სანათების რაოდენობა;

1.2.5 ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს სუბსიდირება, ნაგავსაყრელის სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის დაცვა.

ქვეპროგრამის შედეგი

უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო და მუნიციპალიტეტი იღებს დამატებითი შემოსავლებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებიდან მიღებული პროდუქტის რეალიზაციიდან.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- გადამამუშავებული ნარჩენების რაოდენობა;
- რეალიზებული პროდუქტის რაოდენობა;
- თავშესაფარში გადაყვანილი და/ან სტერილიზებული ცხოველების რაოდენობა;

1.2.7 "ააიპ სუფთა მარნეული"-ს დაფინანსება

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე

მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის მოასფალტებული ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება, გამწვანების მოვლა-დასუფთავება, ხეების გადაბეღვა, სოფლის მეურნეობის პროექტით დახვნიტი სამუშაოები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის ფართობი, რომელზეც წლის განმავლობაში რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალური დასუფთავების სერვისი;
- წლის განმავლობაში ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების ოდენობა;

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი, სადაც მოწყობილია სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა;

1.3.1 სკვერებისა და პარკების გაშენება—რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში უზუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, კერძოდ, ქ.მარნეულში ჯავახიშვილის სახელობის და ქობულეთის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად 188,9 ათასი ლარი ქ. მარნეულში ძეგლის „კიდევაც დაიზრდებიან“— მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის მეორე ეტაპისათვის.

მოსალოდნელი შედეგები

- ქალაქის ტერიტორიაზე შექმნილია ახალი სარეკრეაციო სივრცე

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული და ახალი სკვერების რაოდენობა;

1.3.2 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო რუქების მომზადების ხარჯი (კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე ტროტუარების და ღობეების მოწყობა, ასევე იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები

- კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტის ტერიტორია

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა;

1.4. მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება .

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული მუშაობა;
- შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
- მოქმედი მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა;
 - რეგულარული რეისების რაოდენობა;

2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

კოდი	დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
04 00	განათლება	2692,0	3,037.0	3,047.0	3,197.0
04 01	ა(ა) იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დაფინანსება	2620,0	2,900.0	2,900.0	2,900.0
04 02	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	0.0	65.0	75.0	225.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	72.0	72.0	72.0	72.0

2.1 ა(ა) იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დაფინანსება

პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირებაც, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-

ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა სადაც უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისი;
- მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა;

2.2 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია აღსაზრდელებისა და მომსახურე პერსონალისათვის კეთილსაიმედო გარემოს შესაქმნელად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

რეაბილიტირებულია არსებული სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და აშენებულია ახალი სააღმზრდელო დაწესებულება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აშენებული საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- მშენებლობისა და რეაბილიტაციის შედეგად საბავშვო ბაღებში შექმნილი ახალი (სააღმზრდელო) ადგილების რაოდენობა;

2.3 ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური დახმარება მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თითოეულზე 50 ლარის ოდენობით), ზაფხულის საშვებულებო პერიოდის (ივლისი, აგვისტო) გარდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ

გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

კოდი	დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3980,3	3,008.0	3,478.0	5,405.1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1441,8	1,555.0	2,025.0	2,695.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	18.0	25.0	25.0	25.0
05 01 02	სპორტული სკოლები	1180,0	1370.0	1370.0	1370.0
05 01 03	სპორტული მოედნების მოწყობა, რეაბილიტაცია	243.8	160.0	630.0	1,300.0
0502	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2092,5	1155.0	1155.0	2412.1
05 02 01	კულტურული ღონისძიებები	200.0	205.0	205.0	205.0
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსება	867,5	950.0	950.0	950.0
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	1,025.0	0.0	0.0	1,257.1
05 03	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	86.0	86.0	86.0	86.0
05 04	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	360.0	212.0	212.0	212.0

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 2000-მდე სპორტსმენს;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში; გაზრდილია მარნეულელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი მკვიდრდება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- პროგრამის ფარგლებში სამოყვარულო სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენტთა რაოდენობა;
- მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა;
- მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში, ძირითად გუნდებში ადგილობრივი სპორტსმენების %-ლი წილი;
- მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა;
- პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი სპორტსმენების მიღწევების რაოდენობა საერთაშორისო სპორტულ აქტივობებში.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

2019 წლის განმავლობაში, ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

- 21 მარტს "ბაირამობას" ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებები, (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი და მშვილდოსნობა)
- 26 მაისს ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებები, (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი და მშვილდოსნობა)
- თამარისობას ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებები, (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი და მშვილდოსნობა)
- 6 აპრილი – სპორტის საერთაშორისო დღე
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა
- მარნეულის ჩემპიონატი მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის
- მარნეულის ჩემპიონატი მკლავჭიდში
- 20 ივნისი – ჭადრაკის საერთაშორისო დღე.
- 12 აგვისტო – ახალგაზრდების საერთაშორისო დღე
- ევროპის სპორტული კვირეული
- წარმატებულის სპორტსმენების ფულადი წახალისება, საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის ხელშეწყობა
- მარნეულელობას ჩატარებული სპორტულ ღონისძიებები, (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი და მშვილდოსნობა)

მოსალოდნელი შედეგი

ჩატარებულია სპორტული ღონისძიებები ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებულ სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

3.1.2 სპორტული სკოლები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა. სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სპორტული დარბაზის მოვლა შენახვა, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თანხების, სიგელების, ჯილდოების, ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა საქმიანობის წარმოება. სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა. მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით სპორტსმენების ეროვნული და საერთაშორისო ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. სპორტსმენების ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა. ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა მოწყობის ხარჯები.

სარაკბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაკბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში. 2019 წლიდან გათვალისწინებულია ფრენბურთის სექციის დამატება და ამ სახეობის პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტში.

მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია სპორტული სკოლის სასპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, სპორტული სკოლის ბაზაზე არსებული სპორტული ჯგუფების შიდა ტურნირებზე მონაწილეობა, ასევე დამატებულია ახალი სპორტული სახეობა (ფრენბურთი) სპორტული სკოლის ბაზაზე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სექციების რაოდენობა;
- სექციებში დაკავებულ სპორტსმენტთა რაოდენობა;
- სპორტსმენტთა შეკრებების რაოდენობა;

3.1.3 სპორტული ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.მარნეულში სამხედრო დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობა და მინი კომბინირებული სტადიონების რეაბილიტაცია, სოფელ საბირქენდში მინი სტადიონის მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგი

რეაბილიტირებულია და ახლად მოწყობილია სპორტული ობიექტები

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული სპორტული ობიექტების რაოდენობა;
- ახლად მოწყობილი სპორტული ობიექტების რაოდენობა;

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: 6 კულტურის სახლი, 1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 90-მდე მოსწავლე, 1 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;

მოსალოდნელი შედეგი

- მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონისძიებების ამაღლება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა

3.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლისთვის დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. კონკრეტულად კი:

- დედის დღესთან დაკავშირებით – ხანდაზმული დედების მონახულება-(0-75000 ქულა) მარტოხელა დედების, ომში დაღუპულთა და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმული დედების დასაჩუქრება. (20 - მოქალაქე);
- 8 მარტთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონებისთვის დღესასწაულის მილოცვა და თაიგულებით დასაჩუქრება;
- ნოვრუხ-ბაირამის დღესათან დაკავშირებით გაიმართება სადღესასწაულო ღონისძიება;
- 9 აპრილთან დაკავშირებით გაიმართება ღონისძიებები და მემორიალების გვირგვინებით შემკობა;
- 14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდების შეხვედრა თანამედროვე ენათმეცნიერებთან ქართული ენის საკითხებზე. ქ.
- ჯავახიშვილობასთან დაკავშირებული ღონისძიების გამართვა;
- მარნეულელობასთან დაკავშირებული ღონისძიების გამართვა;
- 9 მაისისთან დაკავშირებით მცირე ღონისძიება და მემორიალის გვირგვინებით შემკობა;
- 14 მაისს თამარობასთან დაკავშირებით სოფელ თამარისში კულტურული ღონისძიების გამართვა;
- 18 მაისს მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სოფელ წერაქვში „ღამე მუზეუმში“ ღონისძიების გამართვა;
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება;
- ანიმაციური ფილმების ფესტივალ „ექო თოფუზში“ მონაწილეობა.
- სექტემბერში ყოველწლიური ღვინის ფესტივალის ჩატარება;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ეტალონის“ ჩატარება და წლის მარნეულელი მოსწავლის გამოვლენა;
- ახალი წლის ღამეს გრანდიოზული საახალწლო ღონისძიებების გამართვა;

მოსალოდნელი შედეგი

ჩატარდა შემეცნებით- გასართობი ღონისძიებები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებული გასართობი კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.
-

3.2.2 კულტურის ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვოკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების ფიქსაცია პოპულარიზაცია. მოზარდი თაობის დემოკრატიული საზოგადოების ჭეშმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფა.

მოსალოდნელი შედეგი

ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები, განხორციელებულია სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. მუნიციპალური შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- შემოქმედებითი კოლექტივების რაოდენობა;
- კულტურის ცენტრის აღსაზრდელების რაოდენობა;
- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;

3.2.3 კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაფინანსება სოფელ იმირში „გადაჭრილი გორის“ ძეგლის გადახურვის მიზნით შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით, „გადაჭრილი გორის“ ტერიტორიაზე სამუხემო კომპლექსის მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სოფ. წერაქვში ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის სახურავის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი

- რეაბილიტირებულია კულტურის ობიექტები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული კულტურის ობიექტების რაოდენობა;

3.3 ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და სხვა სახის ტელეგადაცემების მიწოდება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამების რაოდენობა;

3.4 რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით. კერძოდ 350,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, ხოლო 10,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მოსახლეობის სულიერი სიმტკიცის, რელიგიური თვითშეგნების ამაღლება;
- სასულიერო ცენტრების რაოდენობის ზრდა;

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

კოდი	დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	1280,0	1,353.0	1,353.0	1,353.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	180,0	193.0	193.0	193.0
06 02	სოციალური პროგრამები	1100,0	1,160.0	1,160.0	1,160.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	800.0	800.0	800.0	800.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	295,0	355.0	355.0	355.0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	5.0	5.0	5.0	5.0

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ეპიდემიების რაოდენობა

4.2 სოციალური პროგრამები

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- განხორციელებული სოციალური პროგრამების რაოდენობა
- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა;

4.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა .

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის საფუძველზე:

- 0-დან 120000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებული ბენეფიციარების მკურნალობითან/და მედიკამენტებით დახმარება არაუმეტეს წელიწადში 200 ლარის ოდენობით;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით ან 100 ლარის ღირებულების მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება გაეწევა მოთხოვნილი თანხის 100%-ის ოდენობით;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, სარეიტინგო ქულით 0-დან 120000-მდე, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით მედიკამენტებით დახმარება, არაუმეტეს წელიწადში 600 ლარის ოდენობით;
- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ოპერაციის ან/ და რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 800 ლარისა.
- ონკოლოგიური ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს, დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით;
- გულის ოპერაციის დაფინანსების მიზნით ბენეფიციარს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000-მდე სარეიტინგო ქულის ბენეფიციარს ოპერაციის დაფინანსების მიზნით, სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გაცემული დახმარების შემდეგ, აუნაზღაურდება 200 ლარი და მეტი ოდენობის დარჩენილი თანხის არსებობისას, დასაფარავი თანხის 50%, არაუმეტეს 2000 ლარისა.;

მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- განხორციელებული სოციალური პროგრამების რაოდენობა;
- ბენეფიციართა რაოდენობა;
- მოსახლეობის სოციალური დახმარებებით დროული უზრუნველყოფა;

4.2.2 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ყოფითი დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის საფუძველზე.

- ასი და მეტი წლოვანების ხანდაზმულს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ომისა და სამხედრო ძალების შ.შ.მ ვეტერანს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;

- 0-დან 120000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ახალშობილის დაბადებასთან დაკავშირებით, მისი დაბადებიდან ორი კალენდარული თვის ვადაში განცხადების წარმოდგენისას, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს დახმარება გაეწევა პირველ და მე-2 ბავშვზე 200 ლარის ოდენობით, ყოველ მომდევნო ბავშვზე გასაცემი თანხა გაიზრდება 100 ლარის ოდენობით.
- 0-დან 80000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა დედას ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ 4 და მეტი რაოდენობის, არასრულწლოვანი შვილის ოჯახებს ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირს-დევნილ ოჯახებს, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს და ომში დაღუპული მეომრის ოჯახებს გაეწევათ დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულ უსინათლოსა და ყრუ-მუნჯ მოქალაქეს გაეწევათ დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;
- არასრულწლოვანი ასაკის შ.შ.მ ონკოლოგიური ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით;
- 0-დან 15000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს დახმარება ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით;
- დედ-მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს ყოველთვიურად 150 ლარის დახმარება;
- 57000-დან 60000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით დახმარება;
- უსინათლოებსა და ყრუ მუნჯ ბენეფიციარებს ყოველთვიურად 40 ლარის ოდენობით დახმარება;
- დიალეზზე მყოფ ბენეფიციარებს, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, ქ. მარნეულის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 20 ლარის ოდენობით, ყიზილ-აჯლოსა და ალგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 30 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს 50 ლარის ოდენობით.
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს, კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დახმარება გაეწევათ 100 ლარის ოდენობით, ხოლო კალენდარული წლის აგვისტოს თვეში (8 აგვისტოსთან დაკავშირებით) 500 ლარის ოდენობით. ასევე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, კალენდარული წლის მაისის თვეში, (9 მაისთან დაკავშირებით) ერთჯერადი საჩუქრის სახით დახმარება გაეწევათ 250 ლარის ოდენობის თანხით.
- მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირის ერთჯერადად დახმარების მიზნით საჭიროების შესაბამისად ეტლის შეძენა;
- 0-დან 120000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახიდან 2 ან მეტი სტუდენტის ყოლისას საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახიდან დედით ან/და მამით ობოლ ბენეფიციარს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- დედით და მამით ობოლ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებული პირთა – დევნილთა ოჯახებს, რომელთა შვილიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევათ 500 ლარის ოდენობით.
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილებს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში ან კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე, მზრუნველი) რეინტეგრირებულ არასრულწლოვან ბენეფიციარს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 20 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- განხორციელებული სოციალური პროგრამების რაოდენობა;
- ბენეფიციართა რაოდენობა;
- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა;

4.2.3 სარიტუალო მომსახურება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.

5. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

კოდი	დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5688,1	5,727.8	5,823.1	7,623.1
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1177,2	1,245.7	1,244.7	1,244.7
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4168,7	4,237.3	4,236.3	6,036.3
01 03	სარეზერვო ფონდი	150.0	150.0	150.0	150.0
01 04	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	189.1	91.8	189.1	189.1
01 05	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	3.0	3.0	3.0	3.0

5.1 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მათ შორის: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა. კერძოდ:

(ორგანიზაციული კოდი 0102) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული არის გრანტის სახით 45.0 ათასი ლარით დაფინანსება.

(ორგანიზაციული კოდი 0104) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა.

6. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

კოდი	დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
02 00	თავდაცვა , საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	258,2	222.2	222.2	222.2
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	258,2	222.2	222.2	222.2

6.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით მარნეულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაწვევის პუნქტამდე გადაყვანილ წვევამდელთა რაოდენობა;
- გაწვევის პუნქტამდე ტრანსპორტირების მიზნით განხორციელებული რეისების რაოდენობა;